როდესაც ჯგუფი შეისყიდის ბიზნესს, კლასიფიკაციის მიზნებისთვის აფასებს მის ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს შესყიდვის თარიღისათვის არსებული სახელშეკრულებო პირობების, ეკონომიკური გარემოებებისა და რელევანტური პირობების შესაბამისად. აღნიშნული მოიცავს შესყიდული საწარმოს მიერ ხელშეკრულებებში ჩადებული წარმოებული ინსტრუმენტების განცალკევებას. ნებისმიერი პირობითი ანაზღაურება, რომელიც გადახდილ უნდა იქნას შეძენის მიერ, აღიარებულია რეალური ღირებულებით შეძენის თარიღისათვის. პირობითი ანაზღაურება, რომელიც კლასიფიცირდება კაპიტალად, არ გადაფასდება და მისი შემდგომი გადახდა აღირიცხება კაპიტალში. პირობითი ანაზღაურება, რომელიც მოიაზრება აქტივად

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ან ვალდებულებად, წარმოადგენს ფინანსურ ინსტრუმენტს და შეესაბამება ფასს 9-ს „ფინანსური ინსტრუმენტები“, ფასდება რეალური ღირებულებით და ფასს 9-ის შესაბამისად რეალური ღირებულების ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში. სხვა პირობითი ანაზღაურება, რომელიც არ ექცევა ფასს 9-ის მოქმედების არეალში, ფასდება რეალური ღირებულებით თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის მოგებაში ან ზარალში აღიარებული რეალური ღირებულების ცვლილებით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ჯგუფის თითოეული კონსოლიდირებული საწარმოს სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც თითოეული მათგანი საქმიანობს. კომპანიის და მისი შვილობილი საწარმოების სამუშაო ვალუტა და ჯგუფის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან“.

2021 და 2020 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

აშშ დოლარი **ევრო**

გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.1	3.5
გაცვლითი კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.28	4.02

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშზე ეროვნულ/უცხოურ ვალუტაში და ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში.

ფინანსური აქტივები - პირველადი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივები თავდაპირველად და შემდგომში აღიარდება ამორტიზირებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით და სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელსაც გამოიყენებს მათ სამართავად. გამოწვევისა და სავაჭრო მოთხოვნები, რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა.

სავაჭრო მოთხოვნები რომელიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც ჯგუფმა გამოიყენა პრაქტიკული მიზანშეწონილობა, აღირიცხება გარიგების ღირებულებით, ფასს 15-ის შესაბამისად. იმისათვის, რომ ფინანსური აქტივი კლასიფიცირდეს და შეფასდეს ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით, მან უნდა წარმოშვას ფულადი ნაკადები, რომელიც დაკავშირებული იქნება „მხოლოდ ძირის და პროცენტის გადახდებთან“ (SPPI) ნარჩენ

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ძირ თანხაზე. აღნიშნული შეფასება მოიხსენიება როგორც SPPI ტესტი და ხორციელდება ინსტრუმენტის დონეზე.

ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი დაკავშირებულია იმასთან თუ როგორ ახდენს ჯგუფი ფინანსური აქტივების მართვას ფულადი ნაკადების დასაგენერირებლად. ბიზნეს მოდელი განსაზღვრავს, როგორ ხდება ფულადი ნაკადების შემოღინება, იქნება ეს სახელშეკრულებო პირობების მიხედვით, ფინანსური აქტივის გაყიდვით, თუ ორივე ერთად. ფინანსური აქტივის ყიდვა ან გაყიდვა, რაც მოითხოვს აქტივის მიწოდებას მოქმედი რეგულაციით ან ბაზარზე არსებული კონვენციით განსაზღვრულ ვადებში, აღიარდება ვაჭრობის თარიღით, რომელიც წარმოადგენს იმ თარიღს, როდესაც ჯგუფი ვალდებულებას იღებს, რომ შეიძენს ან გაასხვისებს აქტივს.

შემდგომი აღიარება

შემდგომი აღიარების მიზნებისთვის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება ოთხ კატეგორიად:

- ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვით, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (სასესხო ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, ჯამური მოგების ან ზარალის გადახურვის გარეშე, სრული შემოსავლის ანგარიშგების გავლით (კაპიტალის ინსტრუმენტები)
- ფინანსური აქტივები სამართლიანი ღირებულებით, მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით.

ეს კატეგორია ყველაზე დამახასიათებელია ჯგუფისთვის. ჯგუფი აღრიცხავს ფინანსურ აქტივებს ამორტიზირებული ღირებულებით, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა სრულდება:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივს ბიზნეს მოდელის შესაბამისად, რათა მოახდინოს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი და პროცენტის გადახდებს არსებულ ძირითად თანხაზე.

ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, შემდგომში იზომება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას.

მოგება, ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა, შეცვლა ან გაუფასურება. კომპანიის ფინანსური აქტივები, რომლებიც აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს. სავაჭრო მოთხოვნები არის კლიენტებისგან მისაღები თანხები გაწეულ მომსახურებაზე და მიწოდებულ პროდუქციაზე საქმიანობის ჩვეულებრივ პირობებში. თუ თანხების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის განმავლობაში ან ნაკლებში, ისინი აღირიცხება, როგორც მიმდინარე აქტივები. სხვა შემთხვევაში აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი აქტივები.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების კომპანიის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური საწყისი ანგარიშგებიდან ამოღება) ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლებების მოქმედების ვადა; ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა) კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივებთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ჯგუფი აღიარებს რეზერვს მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებზე (მსდ) ყველა საკრედიტო ინსტრუმენტზე, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის ანგარიშგების გავლით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები გამოიანგარიშება სხვაობით სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და სრულ ფულად ნაკადებს შორის, რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს, დადისკონტირებულს საწყისი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგები აღიარდება ორ ეტაპად. საკრედიტო რისკებისთვის, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არ გაზრდილა საკრედიტო რისკი, მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი აღიარდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელი მოვლენებისთვის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს საკრედიტო ხელშეკრულების შეწყვეტა. იმ საკრედიტო რისკზე, რომელიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა, სავალდებულოა დანაკარგის რეზერვის აღიარება, მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგზე, რომელიც მოსალოდნელია რისკის დარჩენილ სასიცოცხლო ვადაზე, გაუქმების ვადის მიუხედავად (მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის მთლიანი სასიცოცხლო ვადა).

სავაჭრო მოთხოვნებისთვის და სახელშეკრულებო აქტივებისთვის კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოსათვლელად. შესაბამისად კომპანია არ ადევნებს თვალს საკრედიტო რისკის ცვლილებას, არამედ აღიარებს დანაკარგის რეზერვს მსდ-ს სასიცოცხლო ვადის მიხედვით ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიას შემუშავებული აქვს რეზერვის მატრიცა, რომელიც დაფუძნებულია მის ისტორიულ საკრედიტო დანაკარგის გამოცდილებაზე, მორგებული მის დებიტორებზე და ეკონომიკურ გარემოს სამომავლო ფაქტორებზე.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ფინანსური ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას კლასიფიცირდება, როგორც ფინანსური ვალდებულებები სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალის გავლით, სესხები, სავაჭრო ვალდებულებები, ან ჰეჯირების ინსტრუმენტებად განსაზღვრულ დერივატივად ეფექტურ ჰეჯში. ყველა ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხის და ვალდებულებების შემთხვევაში პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და სესხებს.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც აღწერილია ქვემოთ:

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც ჯგუფმა შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა ხდება, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულების გაუქმება, გათავისუფლება ან ვადის გასვლა. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ახლით ჩანაცვლება იგივე მსესხებლისგან მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების პირობების მნიშვნელოვანი ცვლილება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია აღიარდება, როგორც არსებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. სხვაობა შესაბამის საბალანსო ღირებულებებში აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგაქვითვა

ჯგუფი ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და ჯგუფი გეგმავს ანგარიშწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და/ან გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ძირითადი საშუალების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის მაჩვენებლები არის შემდეგი:

	წელი
შენობები	20
ნაგებობები	10
მანქანა-დანადგარები	7-10
კომპიუტერული ტექნიკა	4-5
ელექტრონული მოწყობილობები	4
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5-6
სატრანსპორტო საშუალებები	5-8

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი, (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივის ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდი გადაისინჯება ყოველწლიურად. საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება შესაბამისად.

იჯარა

განსაზღვრა, შეთანხმება წარმოადგენს (ან შეიცავს) თუ არა იჯარას, იჯარის დასაწყისში ხდება, შეთანხმების არსიდან გამომდინარე. შეთანხმება წარმოადგენს ან მოიცავს იჯარას, თუ მისი მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებადი აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ.

ჯგუფი, როგორც მოიჯარე იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აღიარებს საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას.

აქტივის გამოყენების უფლება

ჯგუფი იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების შეფასების თანხით. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება მოიცავს:

- ა) საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას;
- ბ) საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- გ) მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს.

ჯგუფი აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად მანქანა-დანადგარებს 10 წელზე ხოლო სატრანსპორტო საშუალებას 5 წელზე.

საიჯარო ვალდებულება

ჯგუფი იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო ვალდებულებას აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთი. საიჯარო გადახდები მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის არსებულ ფიქსირებულ გადახდებს) მიღებული საიჯარო წამახალისებელი გადახდების გამოკლებით; ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით; თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ ჯგუფი გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით; შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ ჯგუფი გამოიყენებს ამ უფლებას და იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს ჯგუფის მიერ იჯარის

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ ჯგუფი საიჯარო ვალდებულებას ზრდის საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით და ამცირებს განხორციელებული საიჯარო გადახდებით. ამასთანავე, ჯგუფი ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებას, თუ ადგილი აქვს საიჯარო ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდგომ, არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება ყოველი ფისკალური პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივების ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10 წლიანი სასარგებლო მომსახურების ვადის მიწიჭებით, ჯგუფი არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს.

არამატერიალური აქტივის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მისი გამოყენებით ან გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება იმ წლის მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როდესაც შეწყდა აქტივის აღიარება. კომპანიის არამატერიალური აქტივი არის ორისის საბუღალტრო პროგრამა.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და მის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივ სამეურნეო პროცესში სავარაუდო გასაყიდი ფასი, არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული აქტივის დასრულებასა და გაყიდვასთან დაკავშირებული შეფასებითი დანახარჯები. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა FIFO მეთოდს და მოიცავს შემენის ხარჯებს, ტრანსპორტირების ხარჯებს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები,

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

კაპიტალი

მფლობელთა კაპიტალი განისაზღვრება დამფუძნებლების გადაწყვეტილებით. აღიარებაც ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება ჯგუფში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან შეიძლება აღიარდეს, მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა; კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი; ტრანზაქციასთან დაკავშირებული ხარჯები საიმედოდ იქნეს შეფასებული. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

კომპანიის სხვა ფინანსურ შემოსავალს წარმოადგენს საპროცენტო შემოსავალი საქართველოს კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტებიდან. კომპანია შემოსავალს აღიარებს იმ პერიოდის შესაბამისად, რა პერიოდშიც ხდება შემოსავლის მიღება და ასახავს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ან გადაიხდება ვალდებულების გაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში, შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულება ფასდება იმ ვარაუდების გამოყენებით, რომელსაც ბაზრის მონაწილეები გამოიყენებენ აქტივის ან ვალდებულების ფასის განსაზღვრისას, იმ ვარაუდით, რომ ბაზრის მონაწილეები იმოქმედებენ საუკეთესო ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე. კომპანია იყენებს შეფასების მეთოდებს, რომელიც შესაფერისია აღნიშნულ გარემოებებში და რომელთან დაკავშირებითაც არსებობს სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის საჭირო მონაცემები. ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მდგენელის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 - იდენტური აქტივების ან ვალდებულებების შეფასებით მოქმედ ბაზრებზე კოტირებული (არაკოტირებული) ფასებით;

დონე 2 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის პირდაპირი და არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 - შეფასების მეთოდით, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მდგენელის განსაზღვრა.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

მიმდინარე წელს კომპანიამ ამ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს და ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტირების საერთაშორისო კომიტეტის მიერ გამოშვებული ყველა ის ახალი ან გადახედილი ფასს და ფასს-ის ინტერპრეტაცია, რომელიც გამოსაყენებლად სავალდებულოა 2020 წლის 1 იანვარს დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისათვის დაშეესაბამება კომპანიის ოპერაციებს.

განახლებული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება COVID-19-თან დაკავშირებული ქირავნობის შეღავათები - ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 16-ის შესწორება, (რომელიც გამოქვეყნდა 2020 წლის 28 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც 2020 წლის 1 ივნისს ან მას შემდეგ იწყება). შესწორება

მოიჯარეობას (და არა მეიჯარეებს) ათავისუფლებს სურვილისამებრ გათავისუფლების სახით იმის შეფასებისგან, არის თუ არა COVID-19- თან დაკავშირებული ქირის დათმობა იჯარის მოდიფიკაცია. მოიჯარეებს შეუძლიათ აირჩიონ ქირაზე შეღავათების აღრიცხვა ისევე, როგორც ეს არ იქნება იჯარის ცვლილებები. შედეგად ქირავნობის შეღავათები ჩაითვლება როგორც იჯარის ცვალებადი გადასახადი. პრაქტიკული მიზანშეწონილობა ვრცელდება მხოლოდ ქირაზე შეღავათებზე, რომლებიც წარმოიქმნება COVID-19 პანდემიის უშუალო შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა: იჯარის გადახდის ცვლილება იწვევს იჯარის შესწორებულ ანაზღაურებას, რაც არსებითად იგივეა, ან ნაკლებია, იჯარის ანაზღაურებაზე ცვლილების წინ უშუალოდ; იჯარის გადახდის ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენს მხოლოდ 2021 წლის 30 ივნისამდე ან ადრე გადახდაზე; და არ ხდება არსებითი ცვლილება იჯარის სხვა ვადებსა და პირობებში. თუ მოიჯარე აირჩევს პრაქტიკულ მეთოდს იჯარასთან მიმართებით, ის გამოყენებული იქნება ყველა საიჯარო ხელშეკრულებასთან, რომელიც მსგავსი სახისაა და მსგავსი გარემოებები გააჩნია. ცვლილების გამოყენება უნდა მოხდეს რეტროსპექტიულად IAS8-ს შესაბამისად, მაგრამ მოიჯარეები არ არიან ვალდებული ხელახლა მიუთითონ წინა პერიოდის ციფრები ან გააკეთონ გამჟღავნება IAS8-ს 28(ვ) მუხლის თანახმად. ცვლილებების გამოყენებამ არ იქონია გავლენა როგორც საიჯარო ვალდებულებაზე, ასევე სარგებლობის უფლებით აქტივზე.

საპროცენტო განაკვეთის ორიენტირების (IBOR) რეფორმა - მე-2 ფაზის ცვლილებები ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 9, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 39, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 7, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 4 და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 16 (გამოქვეყნებულია 2020 წლის 27 აგვისტოს ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). მე-2 ფაზის ცვლილებები ეხება საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს რეფორმების განხორციელებიდან, მათ შორის, ერთი ორიენტირის ჩანაცვლებას ალტერნატიული ორიენტირით. ცვლილებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების დასაბუთება IBOR რეფორმის შედეგად საკონტრაქტო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძველში; ინსტრუმენტებისათვის, რომლებზედაც ამორტიზირებული ღირებულების გაზომვა ვრცელდება, შესწორებები ითხოვენ ერთეულებს, როგორც პრაქტიკულ მიზანშეწონილობას, შეაფასონ ცვლილების განსაზღვრა IBOR- ის რეფორმის შედეგად მიღებული საკონტრაქტო ფულადი ნაკადები ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით ფასს 9 - ის B5.4.5 პუნქტში მითითებების გამოყენებით, რის შედეგადაც, უშუალო მოგება ან ზარალი არ არის აღიარებული. ეს პრაქტიკული მიზანშეწონილობა ეხება მხოლოდ ასეთ ცვლილებას და მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია IBOR რეფორმის უშუალო შედეგად, ხოლო ახალი საფუძველი ეკონომიკურად ეკვივალენტურია წინა ბაზის. მზღვევლები, რომლებიც იყენებენ ფასს 9 -ის დროებით გათავისუფლებას, ასევე ვალდებულნი არიან გამოიყენონ იგივე პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16-იც ასევე შეიცვალა, რომ მოიჯარეებმა მოითხოვონ მსგავსი პრაქტიკული მიზანშეწონილობა იჯარის ცვლილებების აღრიცხვისას, რაც ცვლის IBOR- ის რეფორმის შედეგად მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს. დასრულების თარიღი პირველ ფაზაში შეღავათებისთვის, შეჯირების ურთიერთობებში კონტრაქტით გაუთვალისწინებელი რისკის

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

კომპონენტებისთვის; მე -2 ფაზის შესწორება მოითხოვს, რომ ერთეულმა პერსპექტიულად შეწყვიტოს 1-ლი ფაზის შედეგების გამოყენება არაკონტრაქტულად განსაზღვრული რისკის კომპონენტზე უფრო ადრე, როდესაც ცვლილებები განხორციელდება არაკონტრაქტურად განსაზღვრულ რისკის კომპონენტში, ან როდესაც შეჯირების ურთიერთობა შეწყვეტილია. რისკის კომპონენტების 1 ფაზის შესწორებებში დასრულების თარიღი არ იყო მითითებული.

- დამატებითი დროებითი გამონაკლისები ჰეჯირების აღრიცხვის სპეციფიკური მოთხოვნების გამოყენებისას: მე -2 ფაზის ცვლილებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შედეგებს ბასს 39 -ისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) 9 -ის სპეციფიკური ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებისგან IBOR რეფორმით პირდაპირ დაზარალებულ ურთიერთობებზე.
- IBOR- ის რეფორმასთან დაკავშირებული ფასს 7 დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნება: შესწორებები მოითხოვს გამჟღავნებას: (i) როგორ ახორციელებს ერთეული ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე გადასვლას, მის პროგრესს და გარდამავალ რისკებს; (ii) რაოდენობრივი ინფორმაცია დერივატივებისა და არაწარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ არ არის გადასული, დაყოფილია მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ნიშნულის მიხედვით; და (iii) რისკის მართვის სტრატეგიაში ნებისმიერი ცვლილების აღწერა IBOR რეფორმის შედეგად.

IBOR რეფორმის ეფექტი: მარეგულირებლებისთვის პრიორიტეტად იქცა რეფორმა და ბანკთშორის სხვადასხვა კოეფიციენტის (IBOR) შეცვლა. IBOR კოეფიციენტების უმრავლესობის გამოქვეყნება შეწყდება 2021 წლის 31 დეკემბერს, ხოლო ა.შ.შ. დოლარის

LIBOR კოეფიციენტების გამოქვეყნება შეწყდება 2023 წლის 30 ივნისიდან. ცვლილების გამოყენებას არავითარი გავლენა არ ჰქონდა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სიახლეები ბუღალტრული აღრიცხვის სფეროში

გამოშვებულ იქნება გარკვეული ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც სავალდებულოა წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან მოგვიანებით და რომელიც ჯგუფს ადრე არ მიუღია. აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის პარტნიორს და მასთან დაკავშირებულ ან ერთობლივი საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოიცა 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაში შედის სსბს-ს მიერ განსაზღვრული თარიღით ან მოგვიანებით დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს შესწორებები მიმართულია ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამოების აღმოფხვრისკენ, ინვესტორსა და მის ასოცირებულ ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვისას ან კონტრიბუციისას. შესწორების მთავარი შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ სრული მოგების ან ზარალის აღიარება ხდება, როდესაც ოპერაციაში ჩართულია ბიზნესი. ნაწილობრივი ზარალი ან მოგება აღიარებულია, როცა ოპერაცია მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენს ბიზნესს, მაშინაც კი, როდესაც მათი მფლობელი შვილობილი კომპანიაა. ჯგუფი მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად - ბასს 1-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 23

იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ამ ვიწრო მასშტაბის შესწორებებით

ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის მიწურულს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არის გრძელვადიანი, თუ საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებითი უფლება აქვს გადადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში. სახელმძღვანელო მითითებები აღარ საჭიროებს ასეთი უფლების უპირობობას.

მენეჯმენტის მოლოდინი იმასთან დაკავშირებით, გამოიყენებენ თუ არა შემდგომში ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება მხოლოდ მაშინ არსებობს, თუ საწარმო საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს. ვალდებულება კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე, თუ პირობა დაირღვა საანგარიშგებო თარიღის

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მდგომარეობით ან მანამდე, მაშინაც კი, თუ ამ პირობაზე უარი მიღებულია გამსესხებლისგან საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, თუ სესხის შეთანხმება დაირღვა

მხოლოდ საანგარიშგებო თარიღის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნების დაზუსტებას სესხისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძლება დაფაროს საკუთარ კაპიტალში კონვერტაციით. "ანგარიშსწორება" განისაზღვრება როგორც ვალდებულების დაფარვა ფულადი სახსრებით, სხვა რესურსებით, რომლებიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინსტრუმენტებს. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომლებიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, მაგრამ მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, რომელთათვისაც კონვერტაციის ვარიანტი კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, როგორც ნაერთი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკეული კომპონენტი.

კომპანია მიმდინარე პერიოდში აფასებს შესწორებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. შემოსავლები დაგეგმილ გამოყენებამდე, დამამძიმებელი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ღირებულება, მითითება კონცეპტუალურ ჩარჩოზე - ბასს 16-ის, ბასს 37-ის და ფასს 3-ის ვიწრო მასშტაბის შესწორებები, და 2018-2020 ფასს-ების წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1-ის, ფასს 9-ს, ფასს 16-ის და ბასს 41-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2022 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ქონების, მოწყობილობების და აღჭურვილობის პოზიციის ღირებულებიდან იმ პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის გამოქვითვას, რომლებიც დამზადდა, როდესაც საწარმო ამზადებდა აქტივს დაგეგმილი გამოყენებისთვის. ამგვარი პოზიციების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი, მათი წარმოების ღირებულებასთან ერთად, უკვე აღიარებულია მოგებასა ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული პოზიციების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს ტესტირებადი აქტივის ცვეთას, რადგან ის არ არის

მზად დაგეგმილი გამოყენებისთვის. ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 16 ასევე განმარტავს, რომ ორგანიზაცია „ამოწმებს, სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი“, როცა ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ მწარმოებლობას.

აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არაა მნიშვნელოვანი ამ შეფასებისთვის. აქედან გამომდინარე, აქტივს შეიძლება უნარი ჰქონდეს

იფუნქციონიროს იმ დანიშნულებით, რაც ხელმძღვანელობამ განსაზღვრა და ცვეთის გათვალისწინებით, სანამ ის მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ მოსალოდნელი საოპერაციო მაჩვენებლების დონეს.

ცვლილება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37 განმარტავს „კონტრაქტის შესრულების ხარჯებს“. ცვლილება განმარტავს, რომ კონტრაქტის შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს კონტრაქტის შესრულების დამატებით ხარჯებს და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც უშუალოდ შესრულებასთანაა დაკავშირებული. ცვლილება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი კონტრაქტის ცალკე პირობის ჩამოყალიბებამდე, ორგანიზაცია აღიარებს ნებისმიერ საამორტიზაციო ზარალს, რომელიც დადგება კონტრაქტის შესრულებისას გამოყენებულ აქტივებთან მიმართებაში და არა ამ კონტრაქტისთვის განკუთვნილ აქტივებთან მიმართებაში.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3 შეცვლილ იქნა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების მისათითებლად, იმის განსაზღვრისთვის, თუ რა წარმოადგენს აქტივს ან პასივს კომპანიათა გაერთიანებისას. ამ ცვლილებამდე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 3-ში მითითებული იყო 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები. გარდა ამისა, ახალი გამონაკლისი იქნა დამატებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 3 დავალიანებასა და პირობით დავალიანებასთან დაკავშირებით. გამონაკლისი ითვალისწინებს, რომ ზოგიერთი ტიპის დავალიანებისა და პირობითი დავალიანებისთვის, ორგანიზაცია, რომელიც ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 3-ს იყენებს, უნდა მიუთითოს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 ან ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო ინტერპრეტაციების კომიტეტის 21-ე ინტერპრეტაცია, ნაცვლად 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლებისა. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, ორგანიზაციას შეეძლო ეღიარებინა ზოგიერთი დავალიანება კომპანიათა შერწყმისას, რომელსაც ის არ აღიარებდა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 37 შესაბამისად. აქედან გამომდინარე, უშუალოდ შეძენის შემდეგ, ორგანიზაციას მოუწევდა ამგვარი დავალიანების აღიარების გაუქმება და სარგებლის აღიარება, რომელიც არ ასახავდა ეკონომიკურ სარგებელს. ასევე განმარტებული იყო, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

პირობითი აქტივები, რაც განსაზღვრულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტში 37, შეძენის თარიღში. ცვლილება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში 9 ითვალისწინებს, თუ რა საკომისიო უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური დავალიანების აღიარების გაუქმებისთვის. ხარჯები ან საკომისიო შეიძლება გადახდილი იქნას მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. ცვლილების თანახმად, მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან საკომისიო არ იქნება შეტანილი 10% ტესტში.

საილუსტრაციო მაგალითი 13, რომელიც თანდართულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე 16 შეცვლილ იქნა საიჯარო ქონების კეთილმოწყობასთან დაკავშირებით მეიჯარისგან გადახდილი თანხების ილუსტრირების ამოსაღებად.

ცვლილების მიზანია საიჯარო შეღავათების აღრიცხვასთან დაკავშირებით შესაძლო გაურკვევლობის მოცილება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს მიიღებს უფრო გვიან, ვიდრე მისი დამფუძნებელი. შვილობილ კომპანიას შეუძლია თავისი აქტივებისა და პასივების შეფასება მათი საბალანსო ღირებულებით, რომელიც შეტანილი იქნებოდა მისი დამფუძნებლის ფინანსურ ანგარიშგებებში, დამფუძნებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადაცვლის თარიღის მიხედვით, თუ კონსოლიდირების პროცედურები არ იყო კორექტირებული და კომპანიათა შერწყმის მიზნით, რომელშიც დამფუძნებელმა შეიძინა შვილობილი კომპანია. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1 შეცვლილ იქნა, რათა საშუალება მიეცა ორგანიზაციებისთვის, რომლებმაც გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის ეს გამონაკლისი, რომ ასევე შეეფასებინათ ჯამური კურსთაშორისი სხვაობები დამფუძნებლის მიერ დაფიქსირებული თანხების გამოყენებით, დამფუძნებლის მიერ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებზე გადაცვლის თარიღის მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის ცვლილება ზემოაღნიშნულ გამონაკლისს ავრცელებს ჯამური

კურსთაშორისი სხვაობებზე, სტანდარტების ახალი მიმდებარებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს ცვლილება ასევე ვრცელდება ასოცირებულ კომპანიებზე და ერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც გამოიყენეს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 1-ის იგივე გამონაკლისი. ამოღებულ იქნა მოთხოვნა, რომ ორგანიზაციებმა არ გაითვალისწინონ გადასახადებით დაბეგვრისთვის ფულადი ნაკადები ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 41 შესაბამისად სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისას. ეს ცვლილება მიზნად ისახავს შესაბამისობაში მოყვანას მოთხოვნასთან სტანდარტში, ყველა გადასახადის გადახდის შემდეგ ფულადი ნაკადების დისკონტირების თაობაზე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების ზემოქმედებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17, "სადაზღვევო კონტრაქტები" (გამოშვებული 2017 წლის 18 მაისს და ძალაშია პერიოდებისთვის, რომლებიც 2021 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ იწყება). ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 ანაცვლებს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს 4, რომელმაც კომპანიებს მისცა ნებართვა განახორციელონ ბუღალტრული აღრიცხვა სადაზღვევო კონტრაქტებისთვის არსებული პრაქტიკის გამოყენებით. ამის შედეგად, ინვესტორებისთვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლების შედარება. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17 წარმოადგენს ერთიან პრინციპზე დაფუძნებულ სტანდარტს ყველა ტიპის სადაზღვევო კონტრაქტების აღრიცხვისთვის, სადაზღვევის კონტრაქტების ჩათვლით, რომლებიც მზღვეველს აქვს. სტანდარტი ითვალისწინებს სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფების აღიარებასა და შეფასებას: (i) სამომავლო ფულადი საშუალებების (შესრულების ფულადი საშუალებების) რისკებზე კორექტირებული ამჟამინდელი ღირებულებით, რომელიც მოიცავს მთელ ხელმისაწვდომ ინფორმაციას შესრულების ფულადი საშუალებების შესახებ უტყუარ საბაზრო ინფორმაციასთან შესაბამისობაში; პლუს (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან მინუს (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს მიუღებელ მოგებას კონტრაქტების ჯგუფში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ მოგებას სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფიდან მათ მიერ სადაზღვევო დაფარვის უზრუნველყოფის პერიოდის განმავლობაში და როცა ისინი თავისუფლდებიან რისკისგან. თუ კონტრაქტების ჯგუფი არის ან გახდება ზარალის გამომწვევი, ორგანიზაცია დაუყოვნებლივ აღიარებს ზარალს. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ცვლილებები და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 4-ის ცვლილება (გამოქვეყნებულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ).

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

ცვლილებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომლებიც მიზნად ისახავს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამარტივებას, სტანდარტისა და გადასვლის ზოგი მოთხოვნის გამარტივებას. ცვლილებები ეხება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის რვა სფეროს და ისინი მიზნად არ ისახავს სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შეცვლას. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები:

ძალაში შესვლის თარიღი: ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების გათვალისწინებით) გადავადებულია ორი წლის ვადით წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ; ხოლო ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 4-ში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 9-ის გამოყენებისგან დროებითი გათავისუფლების ფიქსირებული ვადის ამოწურვის თარიღი ასევე გადაწეულია წლიური ანგარიშგების პერიოდებამდე, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ;

- დაზღვევის მოზიდვასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: ორგანიზაციამ უნდა გამოყოს დაზღვევის მოზიდვის ხარჯები კონტრაქტების მოსალოდნელ გაგრძელებასთან დაკავშირებით და ეს ხარჯები უნდა აღიაროს აქტივად მანამ, სანამ ორგანიზაცია აღიარებს კონტრაქტის გაგრძელებას. ორგანიზაციებმა უნდა შეაფასონ აქტივის ანაზღაურებადობა ყოველ ანგარიშგების თარიღს და აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია უნდა წარმოადგინონ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.
- საინვესტიციო მომსახურებასთან დაკავშირებული საკონტრაქტო მომსახურების მარჟა: უნდა განისაზღვროს დაფარვის

ერთეულები, სადაზღვევო დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების ბენეფიტების რაოდენობისა და მოსალოდნელი

პერიოდის გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის ცვალებადი საკომისიოს მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის, „ინვესტიციებიდან მიღებული შემოსავლის მომსახურებით“, ზოგადი მოდელის შესაბამისად.

საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილ უნდა იქნას ფულადი ნაკადების მოძრაობის სახით, სადაზღვევო კონტრაქტის ფარგლებში, იმდენად, რამდენადაც ორგანიზაცია ასრულებს ამგვარ საქმიანობას სადაზღვევო პოლისის მფლობელისთვის სადაზღვევო დაფარვიდან მიღებული ბენეფიტების გასაძლიერებლად.

- არსებული გადაზღვევის კონტრაქტები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც ორგანიზაცია აღიარებს ზარალს ძირითადი დამამძიმებელი სადაზღვევო კონტრაქტების ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან ჯგუფში დამამძიმებელი კონტრაქტების დამატებისას, ორგანიზაციამ უნდა დააკორექტიროს არსებული გადაზღვევის კონტრაქტების დაკავშირებული ჯგუფის საკონტრაქტო მომსახურების მარჟა და აღიაროს ნამატი არსებულ გადაზღვევის კონტრაქტებზე. არსებული გადაზღვევის კონტრაქტიდან ანაზღაურებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო შენიშვნები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებებისთვის – 31 დეკემბერი 2021. კონტრაქტებზე აღიარებული ზარალის გამრავლებით ძირითადი სადაზღვევო კონტრაქტებთან დაკავშირებული პრეტენზიების პროცენტულ მაჩვენებელზე, რომლის ანაზღაურებასაც გეგმავს ორგანიზაცია არსებული გადაზღვევის კონტრაქტიდან. ეს მოთხოვნა გავრცელდება მხოლოდ მაშინ, თუ არსებული გადაზღვევის კონტრაქტი აღიარებულ იქნება იმ დრომდე ან იმავე დროს, როცა აღიარებულ იქნება ზარალი ძირითად სადაზღვევო კონტრაქტებზე.
- სხვა ცვლილებები: სხვა ცვლილებები მოიცავს გამონაკლისებს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსი) კონტრაქტებისა

და ზოგი სასესხო კონტრაქტისთვის; სადაზღვევო კონტრაქტის აქტივებისა და პასივების წარმოადგენას პორტფოლიუმის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჯგუფების ნაცვლად; რისკების შერბილების ვარიანტის გამოყენებადობას ფინანსური რისკების შერბილებისას არსებული გადაზღვევის კონტრაქტებისა და არადერივაციული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით, სამართლიანი ღირებულებით, მოგების ან ზარალის საშუალებით; ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის არჩევას წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში გაკეთებული გაანგარიშებების შესაცვლელად, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომელიც ეკისრება პოლისის მფლობელს საზადღვევო ხელეკრულების თანახმად ფულადი ნაკადების შესრულებისას;

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

და გადასვლის შერჩეულ შლავათებს და სხვა მცირე ცვლილებებს. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე და გრძელვადიან ვალდებულებებად, ამოქმედების თარიღის გადავადება- ბასს 1-ის შესწორებები (გამოშვებულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის დაწყებული 2023 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ). ბასს-1 შესწორებები, რომლებიც შეეხება ვალდებულებების კლასიფიკაციას როგორც მიმდინარე, ისე გრძელვადიან ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში და ამოქმედების თარიღად მითითებული იყო 2022 წლის 1-ლი იანვარი. კოვიდ-19-ით გამოწვეული გარემოებების გამო ამოქმედების თარიღმა გადაიწია ერთი წლით, რათა კომპანიებს მიეცეთ კლასიფიკაციის ცვლილებების განხორციელების საშუალება, რომელიც სტანდარტის ცვლილებას მოყვება შედეგად. გუნდი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ცვლილებები IAS (ბასს) 1 -ში და ფასს -ის პრაქტიკაში განცხადება 2: ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამჟღავნება (გამოქვეყნებულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 1 შეიცვალა იმის მოთხოვნით, რომ კომპანიებმა გაამჟღავნონ თავიანთი მატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკა. შესწორებამ უზრუნველყო ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის მატერიალური ინფორმაციის განსაზღვრა. შესწორებამ ასევე განმარტა, რომ საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია მოსალოდნელია რომ იქნება მატერიალური, თუ ამის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ ექნებათ საშუალება გაიგონ სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია ფინანსურ ანგარიშგებაში. შესწორებამ მოიტანა სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც სავარაუდოდ განიხილება როგორც მნიშვნელოვანი ერთეულის ფინანსური ანგარიშგებისთვის. გარდა ამისა, ბასს 1 - ის შესწორება განმარტავს, რომ არამატერიალური აღრიცხვის პოლიტიკის ინფორმაცია არ უნდა იყოს გამჟღავნებული. თუმცა, თუ ის გამჟღავნებულია, ის არ უნდა ფარავდეს საბუღალტრო პოლიტიკის მატერიალურ ინფორმაციას. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს -ის პრაქტიკის პრაქტიკა 2, „არსებითი განაჩენების გამოტანა“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოს მითითებები, თუ როგორ გამოიყენოს მნიშვნელოვანი კონცეფცია საბუღალტრო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

Covid-19- თან დაკავშირებული გაქირავების შეღავათები-ცვლილებები IFRS 16 – ში (გაცემული 2021 წლის 31 მარტს და ძალაშია ყოველწლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 აპრილს ან მის შემდგომ). 2020 წლის მაისში გამოქვეყნდა ფასს 16-ის შესწორება, რომელიც მოიცავდა არჩევით პრაქტიკულ მიზანშეწონილობას მოიჯარეთა მიერ იმის შეფასებაში, იყო თუ არა COVID-19- თან დაკავშირებული ქირაზე დათმობა, რამაც გამოიწვია იჯარის ანაზღაურების შემცირება 2021 წლის 30 ივნისამდე ან მანამდე, იჯარის მოდიფიკაცია. 2021 წლის 31 მარტს გამოქვეყნებულმა ცვლილებამ გააგრძელა პრაქტიკული მიზანშეწონილობის თარიღი 2021 წლის 30 ივნისიდან 2022 წლის 30 ივნისამდე. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია აქტივებთან და ვალდებულებებთან, რომელიც წარმოიქმნება ერთი გარიგების შედეგად - ცვლილებები ბასს 12 -ში (გამოქვეყნებულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 12 -ის ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა აღირიცხოს გადავადებული გადასახადი გარიგებებზე, როგორცაა იჯარა და ვალდებულებებიდან გამოსვლის ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, ერთეულები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. ადრე არსებობდა გარკვეული გაურკვევლობა იმის შესახებ, გამოიყენებოდა თუ არა გათავისუფლება ისეთ გარიგებებზე, როგორცაა იჯარა და ვალდებულებების გაუქმება - გარიგებები, რომლებისთვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ასევე ვალდებულება. ცვლილებები განმარტავს, რომ გათავისუფლება არ ვრცელდება და რომ ერთეულებს მოეთხოვებათ აღიარონ გადავადებული გადასახადი ასეთ გარიგებებზე. შესწორებები მოითხოვს კომპანიებს აღიარონ გადავადებული გადასახადი იმ გარიგებებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას იწვევს თანაბარი ოდენობით დასაბეგრებელ და გამოქვითულ დროებით განსხვავებებს. გადასვლის ვარიანტი მზღვეველების მიმართ, რომლებიც იყენებენ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტ 17-ს (გამოქვეყნებულია 2021 წლის 9 დეკემბრის და ძალაშია ყოველწლიური პერიოდების განმავლობაში, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდეგ). გადასვლის მოთხოვნების ცვლილებები ფასს 17-ში მზღვეველებს აძლევს იმის შესაძლებლობას, რომ ისარგებლონ იმ ინფორმაციის გამოსადეგობის გაუმჯობესებით, რომელიც მიეწოდება ინვესტორებს ფასს-17-ის თავდაპირველი გამოყენებისას. ცვლილება ეხება მხოლოდ მზღვეველების გადასვლას ფასს-17-ზე და არ აქვს

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

გავლენა ფასს-17-ის სხვა მოთხოვნებზე. გადასვლის მოთხოვნები ფასს-17-სა და ფასს-9-ში გამოიყენება სხვადასხვა თარიღებში და შედეგად გვაძლევს კლასიფიკაციის ერთჯერად განსხვავებებს ფასს 17-ის საწყის გამოყენებაში წარმოდგენილ შედარებად ინფორმაციასთან; მიმდინარე ღირებულებით სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და ამორტიზებული ხარჯებით გამოთვლილ დაკავშირებულ ფინანსურ აქტივებს შორის არსებულ საბუღალტრო აღრიცხვის შეუსაბამობებს; და თუ რომელიმე საწარმო გადაწყვეტს ხელახლა წარმოადგინოს შედარებადი ინფორმაცია ბასს9-თვის, კლასიფიკაციის განსხვავებები შედარებად პერიოდში ჩამოწერილ ფინანსურ აქტივებს (რომელთან მიმართებაშიც არ გამოიყენება ბასს 9) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომელთა მიმართებითაც გამოიყენება ბასს 9), შესწორება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ დროებითი სააღრიცხვო შეუსაბამობები და გააუმჯობესონ შედარებადი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ეს კეთდება მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შედარებადი ინფორმაციის მიწოდების ვარიანტით. ბასს 17-ის თავდაპირველად გამოყენებისას ორგანიზაციას შედარებადი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით შეუძლია გამოიყენოს

კლასიფიკაციის სქემა ფინანსურ აქტივთან მიმართებით, რომლისთვისაც საწარმო არ წარმოადგენს ხელახლა ბასს9-ის შედარებად ინფორმაციას. გადასვლის ვარიანტი ხელმისაწვდომი იქნება ინსტრუმენტიდან ინსტრუმენტზე საფუძველზე. ის საშუალებას მისცემს საწარმოს წარმოადგინოს შედარებადი ინფორმაცია იმ სახით, თუ მოხდებოდა ბასს 9-ს კლასიფიკაციის და გაზომვის მოთხოვნების გამოყენება ამ ფინანსურ აქტივთან მიმართებით, მაგრამ არ არის საჭირო საწარმოს მიერ ბასს-9-ს გაუფასურების მოთხოვნის გამოყენება. და ითხოვს, რომ ორგანიზაციამ, რომელიც იყენებს კლასიფიკაციის სქემას ფინანსურ აქტივთან მიმართებით, გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღში, რათა განსაზღვროს, თუ რა სახით მოელის საწარმო ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ბასს 9-ის გამოყენებით. ჯგუფი ამჟამად აფასებს ცვლილებების გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

3 ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწის ნაკვეთები	შენობები	ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	კომპ. ტექნიკა	ელექტრონული მოწყობილობები	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
01.01.2020	286,947	404,282	185,468	448,297	24,648	12,611	15,041	1,098,733	2,476,026
შემოსვლა	87,600	69,329	46,972	591,279	5,837	-	40,484	521,115	1,362,616
გასვლა	-	-	(6,771)	-	-	-	-	(11,229)	(18,000)
31.12.2020	374,547	473,611	225,669	1,039,576	30,485	12,611	55,525	1,608,619	3,820,642
შემოსვლა	1,655,330	214,498	140,040	541,685	13,373	14,805	14,636	643,354	3,237,721
გასვლა	(1,072,000)	(147,203)	(374,943)	(1,055,481)	(13,221)	-	(23,993)	(2,008,115)	(4,694,956)
31.12.2021	957,877	540,906	(9,234)	525,780	30,637	27,416	46,168	243,858	2,363,407
დაგროვილი ცვეთა									
დაგროვილი ცვეთა 31/12/19	-	(1,995)	(1,505)	(11,203)	(10,818)	(5,166)	(4,218)	(68,187)	(103,092)
შემოსვლა	-	(4,573)	-	(6,571)	-	-	(6,270)	(42,156)	(59,570)
ცვეთის ხარჯის წლის განმავლობაში	-	(8,424)	(12,532)	(79,727)	(6,508)	(2,197)	(9,359)	(276,188)	(394,935)
გაყიდული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	-	-	11,229	-	-	-	-	11,229
დაგროვილი ცვეთა 31/12/20	-	(14,992)	(14,037)	(86,272)	(17,326)	(7,363)	(19,847)	(386,531)	(546,368)
ცვეთის ხარჯის წლის განმავლობაში	-	(22,579)	(3,015)	(33,093)	(8,127)	(5,644)	(3,172)	(64,669)	(140,299)
გაყიდული ძირითადი საშუალების ცვეთა	-	15,113	42,514	296,879	8,227	-	9,402	509,071	881,206
დაგროვილი ცვეთა 31/12/21	-	(22,458)	25,462	177,514	(17,226)	(13,007)	(13,617)	57,871	194,539
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/20									
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/20	374,547	458,619	211,632	953,304	13,159	5,248	35,678	1,222,088	3,274,274
წმინდა საბალანსო ღირებულება 31/12/21	957,877	518,448	16,228	703,294	13,411	14,409	32,551	301,729	2,557,946

*ჯგუფის მფლობელობაში არსებული მანქანა-დანადგარები და სატრანსპორტო საშუალებები წარმოადგენს უზრუნველყოფის საგანს საფინანსო ინსტიტუტებისაგან აღებული ვალდებულებების დაფარვის შესასრულებლად.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

4 გაცემული სესხები

	12/31/2021	12/31/2020
სესხის ძირი	14,752,368	18,151,535
სესხის პროცენტი	1,621,961	3,702,715
სულ მოკლევადიანი სასესხო მოთხოვნა	16,374,329	21,854,250
	-	-
გრძელვადიანი გაცემული სესხები		
	12/31/2021	12/31/2020
სესხის ძირი	-	70,579,054
სესხის პროცენტი	-	6,113,720
სულ გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნა	-	76,692,774

ჯგუფს გაცემული აქვს ლარის და დოლარის სესხები იურიდიულ პირებზე. 2020 და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხების წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს საშუალოდ 8-10%(დოლარში), 12-14%(ლარში).

5 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2021	12/31/2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	32,113,462	43,424,589
საექვო მოთხოვნების რეზერვი	(7,625,730)	(8,949,346)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	70,057	68,582
სხვა მოთხოვნები	332,746	332,746
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	24,890,535	34,876,571
	-	-

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის დებიტორული დავალიანების ანარიცხები მესამე დონეს განეკუთვნება. მოთხოვნების ანარიცხის მოძრაობა წლების მიხედვით:

12/31/2019	(2,005,644)
დარიცხვა	(6,943,702)
აღდგენა	-
12/31/2020	(8,949,346)
დარიცხვა	-
აღდგენა	1,323,616
12/31/2021	(7,625,730)

6 ფული და ფულის ეკვივალენტები

	12/31/2021	12/31/2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	709,844	155,360
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	534,945	30,833
სულ	1,244,789	186,203

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

7 მიღებული სესხები

მოკლევადიანი	12/31/2021	12/31/2020
სესხის ძირი	128,293,322	2,156,650
სესხის პროცენტი	16,445,476	653,805
სულ მოკლევადიანი სასესხო ვალდებულება	144,738,798	2,810,455

გრძელვადიანი	12/31/2021	12/31/2020
სესხის ძირი	391,306	87,832,727
სესხის პროცენტი	-	8,228,584
სულ გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	391,306	96,061,311

ჯგუფს 2021 წლის განმავლობაში მიღებული აქვს იურიდიული პირისგან და საბანკო დაწესებულებებისგან. ლარის სესხების საპროცენტო განაკვეთია 12-14%, დოლარის სესხების 8-10%. სესხის ძირის და პროცენტის დაფარვა გათვალისწინებულია სესხის ვადის გასვლისთანავე. აღნიშნული სესხების დაფარვის ვადებია 2022 წლიდან 2023 წლამდე.

8 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	12/31/2021	12/31/2020
მოწ.და მომსახ.წარმოქმნილი ვალდებულებები	11,665,808	20,730,157
სულ სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11,665,808	20,730,157

9 შემოსავალი

	2021	2020
შემოსავალი რეალიზიციიდან	94,971,191	91,885,818
სხვა საოპერაციო შემოსავლები	1,455,008	1,060,194
სულ	96,426,199	92,946,012

10 რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2021	2020
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	79,856,291	74,393,975
საწვავის ხარჯი	53,241	55,576
პირდაპირი ხელფასები	844,901	939,548
ცვეთა და ამორტიზაცია	146,479	402,566
სხვა საოპერაციო ხარჯები	2,634,873	3,823,742
სულ	83,535,785	79,615,407

11 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2021	2020
შრომის ანაზღაურება	1,395,857	1,124,235
სხვა სარგებელი	-	30,408
საიჯარო ქირა	395,072	362,088
სხვა ხარჯი	373,552	185,589
საკონსულტაციო ხარჯები	188,843	127,434
ცვეთა და ამორტიზაცია	393,401	107,857

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

საგადასახადო ხარჯი	81,773	51,053
სულ	2,828,498	1,988,664

12 ფინანსური შემოსავალი

	2021	2020
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული შემოსულობა	31,594,809	32,113,902
საპროცენტო შემოსავლები სესხებიდან	6,453,035	6,114,644
იჯარიდან მიღებული შემოსავალი	180,060	390,675
სულ	38,227,904	38,619,221

13 ფინანსური ხარჯი

	2021	2020
უცხოური გაცვლითი კურსის ცვლილებით გამოწვეული ზარალი	(22,929,700)	(30,564,064)
სესხების საპროცენტო ხარჯები	(9,032,928)	(5,853,738)
საიჯარო ხარჯები	(360,877)	(56,682)
საბანკო ხარჯები	(38,895)	(49,382)
სულ	(32,362,400)	(36,523,866)

14 ფინანსური რისკების მართვა

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე, ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით შეიძლება იდგეს სხვადასხვა რისკების წინაშე. რისკის უმთავრესი სახეებია: საბაზრო რისკი, საკრედიტო რისკი და ლიკვიდურობის რისკი. კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები არის შემდეგი:

ფინანსური რისკების მართვა	12/31/2021	12/31/2020
აქტივები		
გაცემული გრძელვადიანი სესხები	-	76,692,774
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	24,890,535	34,876,571
გაცემული მოკლევადიანი სესხები	16,374,329	21,854,250
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,244,789	186,203
საიჯარო მოთხოვნები	716,762	722,683
სულ ფინანსური აქტივები	43,226,415	134,332,481
ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	391,306	96,061,311
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11,665,808	20,730,157
მოკლევადიანი სესხები	144,738,798	2,810,455
საიჯარო ვალდებულებები	145,117	507,600
სულ ფინანსური ვალდებულებები	156,941,029	120,109,523
წმინდა ბალანსი	(113,714,614)	14,222,958

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები. საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი დაკავშირებულია ზემოთ

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

მოცემული ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან. ჯგუფი განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას. სავალუტო რისკი - ქვემოთ მოცემული ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს. გარდა კომპანიის მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა კომპანიის კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. ეს რისკი გაანგარიშებული იყო კომპანიის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

ვალუტა	12/31/2021	12/31/2020
აშშ დოლარი	5,547,962	76,691,342
სულ ფინანსური აქტივები	76,691,342	76,691,342
აშშ დოლარი	112,780,589	76,867,522
სულ ფინანსური ვალდებულებები	76,867,522	76,867,522

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობიარობა სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილებებისა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

12/31/2021	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(33,216,379)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	33,216,379

31-12-20	გავლენა მოგება-ზარალზე
აშშ დოლარის 10%-ით გამყარება	(57,727)
აშშ დოლარის 10%-ით გაუფასურება	57,727

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ჯგუფი ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების, გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. ხელმძღვანელობა აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების ანგარიშგების ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას. ხელმძღვანელობა ადგენს ფულის ლიკვიდურობის პორტფელს გარდა შეზღუდული თანხებისა რომელთა გამოყენებაც შეიძლება ერთი დღის მანძილზე რათა მოხდეს წინასწარ განუსაზღვრელი ლიკვიდურობის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ქვემოთ მდებარე ცხრილში მოყვანილია კომპანიის ვალდებულებები 2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი საკონტრაქტო ღირებულებით. თანხები, რომლებიც მოცემულია ვადების ცხრილში წარმოადგენს საკონტრაქტო არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს. ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაფარად. ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრისთვის 2021 და 2020 წლებისთვის მოცემულია ქვემოთ.

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	1,244,789			1,244,789
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	24,890,535			24,890,535
გაცემული მოკლევადიანი სესხები	16,374,329			16,374,329
გაცემული გრძელვადიანი სესხები	-			-
საიჯარო მოთხოვნები	716,762			716,762
აქტივები	42,509,653	-	-	42,509,653
გრძელვადიანი სესხები	391,306			391,306
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი	11,665,808			11,665,808
ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	144,738,798			144,738,798
საიჯარო ვალდებულებები	145,117			145,117
ვალდებულებები	156,941,029	-	-	156,941,029
წმინდა ბალანსი	(114,431,376)	-	-	(114,431,376)

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ლიკვიდურობის ბალანსი:

	1 წელზე ნაკლები	1 წლიდან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ფული და ფულის ექვივალენტები	186,203			186,203
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	34,876,571			34,876,571
გაცემული მოკლევადიანი სესხები	21,854,250			21,854,250
გაცემული გრძელვადიანი სესხები		76,692,774		76,692,774
საიჯარო მოთხოვნები	500,894	221,789		722,683
აქტივები	56,917,024	76,692,774	-	133,609,798
გრძელვადიანი სესხები		96,061,311		96,061,311
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი	20,730,157			20,730,157
ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	2,810,455			2,810,455
საიჯარო ვალდებულებები	305,994	201,606		507,600
ვალდებულებები	23,846,606	96,262,917	-	120,109,523
წმინდა ბალანსი	33,070,418	(19,570,143)	-	13,500,275

15 დაკავშირებული მხარეები

ხელმძღვანელი რგოლის ანაზღაურება წარმოდგენილია შემდგენიარად:

	2021	2020
ხელმძღვანელი რგოლის ხელფასები	720,130	690,911
სულ	720,130	690,911

გამოცხადებული დივიდენდი

	2021	2020
მესაკუთრეები	131,979	771,887

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31-12-21	31-12-20
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(37,718)	(523,844)

დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები

	31-12-21	31-12-20
დაკავშირებულ მხარეებზე გაცემული სესხები	22,088	377,195

საპროცენტო შემოსავლები

	2021	2020
საპროცენტო შემოსავლები	39,000	47,489

16 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2022 წელს კომპანიამ ჯგუფმა 1,556,842 ლარის დივიდენდი.

2022 წლის 8 აპრილიდან ჯგუფი არის შპს "ჯეო მაინინგის"-ის 50% წილის მესაკუთრე.


2022 წლის 14 მარტიდან ჯგუფი არის შპს "მნ სილვერის" 50%-ის მფლობელი.

2022 წლის 29 ივლისიდან ჯგუფი არის შპს "არაგვის" 55%-ის მფლობელი.

2022 წლის 8 აპრილიდან ჯგუფი არის შპს "ჯეო მაინინგის" 50%-ის მფლობელი.

2022 წელს ჯგუფს გაცემული აქვს სესხები სხვადასხვა იურიდიულ პირებზე 1,998,383 ლარის ოდენობით.

2022 წელს ჯგუფს მიღებული აქვს სესხები ჯამში 3,789,369 ლარის ოდენობით.



LTD MANGANUM LOGISTICS

შპს "მანგანუმ ლოჯისტიკი"

შპს მანგანუმ ლოჯისტიკი(ს/კ 416334149)

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბერი 2021



LTD MANGANUM LOGISTICS

შპს “მანგანუმ ლოჯისტიკი”

სარჩევი

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში კონსოლიდირებული მართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
2. კომპანიის განვითარების გეგმები
3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ
4. საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
5. კომპანიის რისკების მიმოხილვა და ინფორმაციას ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ
6. ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.
7. გარემოს დაცვა.



LTD MANGANUM LOGISTICS

შპს “მანგანუმ ლოჯისტიკი”

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში მმართველობის ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ეს ანგარიში, რომლის წაკითხვა უნდა მოხდეს დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ 2022 წლის 27 სექტემბერს გამოშვებული დასკვნის მე-4 გვერდზე წარმოდგენილ პასუხისმგებლობებთან ერთად, განსაზღვრულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს მანგანუმ ლოჯისტიკის (შემდგომში - „ჯგუფი“) კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებასთან მიმართებაში ჯგუფის ხელმძღვანელობის და დამოუკიდებელი აუდიტორის შესაბამისი პასუხისმგებლობების გამიჯვნის თვალსაზრისით.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე.

კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება, მომზადებულია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2022 წლის 27 სექტემბერს.

დირექტორი:

ნოდარი მიქაბერიძე



LTD MANGANUM LOGISTICS

შპს “მანგანუმ ლოჯისტიკი”

კომპანიის განვითარების გეგმები

შპს მანგანუმ ლოჯისტიკი (შემდგომში „კომპანია“) არის 2017- წლის 01, მაისს საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, რუსთავი, მ.ასლანიკაშვილი ქ. სახლი 2, 815.

კომპანიის 100% წილის მფლობელი და დირექტორი არის ნოდარ მიქაბერიძე.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მანგანუმ ლოჯისტიკს ჰყავს შვილობილი კომპანიები:

1. შპს პარტნიორი (ს/კ 406084954);
2. შპს მეტალი (ს/კ 405370897);
3. შპს ჭიათურა სერვისი (ს/კ 416347741)
4. შპს ტრანსპორტი 2015 (ს/კ 415594556)
5. შპს სამთოელი (ს/კ 416351806)
6. შპს ბარჯა 2015 (ს/კ 415593058)
7. შპს მ.ნ. ფექტორი (ს/კ 405165627)

მშობელი საწარმოს ძირითადი საქმიანობა წარმოადგენს მანგანუმის მადნის კონცენტრატის მოპოვება/დამუშავება-ტრანსპორტირება, უზრუნველყოფს მის მიწოდებას მისი მთავარი კონტრაქტორის შპს ჯორჯიან მანგანეზისათვის. შპს მანგანუმ ლოჯისტიკი წინასწარ ახდენს იმ უზნების ინსპექტირებას რომელიც დამტკიცებულია ჯორჯიან მანგანეზის მიერ, ახდენს ტერიტორიის განფენილობის შესწავლას, სამუშაო სივრცის თუ მოსაზღვრე სტრუქტურების სიახლოვეს ნიადაგის სტრუქტურის შესწავლას. შპს მანგანუმ ლოჯისტიკი ახდენს მანგანეზის მადნის მოპოვებას მის გამდიდრებას (გარეცხვას) და შემდეგ ტრანსპორტირებას ქ. ჭიათურიდან ქ. ზესტაფონამდე დაქირავებული ქვეკონტრაქტორების მეშვეობით. ჯგუფი მომავალშიც აპირებს გაფართოებას ვაჭრობისა და წარმოების სფეროში.

შვილობილი კომპანიების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შპს მანგანუმ ლოჯისტიკის საქმიანობის ანალოგიურ საქმიანობას, კერძოდ: მანგანუმის მადნის კონცენტრატის მოპოვება/დამუშავება, მის ტრანსპორტირებას მისი მთავარი კონტრაქტორის შპს მანგანუმ ლოჯისტიკისთვის. დამატებით შპს პარტნიორი თვითონ ახორციელებს ტრანსპორტირებას და ტექნიკით მომსახურებას.

ინფორმაციას ჯგუფის ფილიალების შესახებ

ჯგუფს არ გააჩნია ფილიალები და საწყობი რადგან შემოიფარგლება მომსახურებით და არ ახდენს ნედლეულის დასაწყობებას, რომელიც ქვეკონტრაქტორების პრეროგატივაა. ოპერირებს ქ. ჭიათურაში და მისი ფაქტობრივი მისამართია თბილისის 29. ჯგუფი არ ახორციელებს იმპორტს.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ჯგუფის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა 196 (2019 – 198), თანამშრომელთა შორის უმეტესობა მამაკაცია. ჯგუფში დანერგილია ბონუსური სისტემა თანამშრომელთა წახალისების მიზნით, შესრულებული



LTD MANGANUM LOGISTICS

შპს “მანგანუმ ლოჯისტიკი”

სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, კვარტალურად გაიცემა დამატებითი სარგებელი. ჯგუფში დასაქმებულთა უმრავლესობა მამაკაცია თუმცა აღსანიშნავია, რომ ქალთა რაოდენობა კომპანიის მენეჯმენტსა და საკვანძო თანამდებობებზე საკმაოდ მაღალია. ჯგუფში დასაქმებულები არ სარგებლობენ დაზღვევით.

კომპანიის მართვის უმაღლეს ორგანოს წარმოადგენს პარტნიორთა კრება, წესდება დაგეხმარებათ.

შპს მანგანუმ ლოჯისტიკი 2017 ივნისიდან წლიდან წარმატებით ოპერირებს ქართულ ბაზარზე. კომპანიის კონსოლიდირებულმა 2020 წლის შემოსავლებმა შეადგინა 96,426,199 ლარი (2019: 91,646,976 ლარი).

ჯგუფის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობის რისკების მიმოხილვა და ინფორმაცია ამ რისკების მართვის მექანიზმის შესახებ

ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან გამომდინარე, ჯგუფზე ვრცელდება შემდეგი სახის რისკები:

საკრედიტო რისკი;

ლიკვიდურობის რისკი;

საბაზრო რისკი.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ჯგუფის ფინანსური ზარალის რისკი, ერთი მხარის მიერ მეორე მხარის მიმართ ფინანსური ვალდებულებების არ შესრულების შემთხვევაში.

2020 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფი არ დგას საკრედიტო რისკის წინაშე.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდობის რისკი ეხება ფინანსური ვალდებულებების უზრუნველსაყოფად საკმარისი სახსრების არსებობას, რომლებიც უკავშირდება ფინანსურ ინსტრუმენტებს მათი დაფარვის ვადის დადგომისას. ლიკვიდობის რისკი არსებობს მაშინ, როცა აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადები ერთმანეთს არ ემთხვევა.

ხელმძღვანელობის პოზიციით, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს აქვს საკმარისი ლიკვიდურობა ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად. ლიკვიდურობის ცხრილი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი - გამომდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში (ბ) სავალუტო რისკში, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები. საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს კურსთაშორისი განაკვეთების, საპროცენტო განაკვეთების და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა იმოქმედოს ჯგუფის შემოსავალზე ან მის მიერ ფინანსური ინსტრუმენტების ფლობაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების საფრთხის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების საფუძველზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი ეხება მხოლოდ ფულად აქტივებს და ვალდებულებებს. არაფულად აქტივებში ინვესტიციები არ გამოიწვევს მნიშვნელოვან სავალუტო რისკს. გარდა ჯგუფის მოგება-ზარალზე არსებული გავლენისა, არ არსებობს სხვა ზეგავლენა ჯგუფის კაპიტალზე გაცვლითი კურსის ცვლილებების შედეგად. რისკი გაანგარიშებულია ჯგუფის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით.

ანალიზი სავალუტო რისკების შესახებ 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-19 შენიშვნაში.



LTD MANGANUM LOGISTICS

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკი“

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობა ძირითადად აისახება სესხების რეალურ ღირებულებაზე (სესხი ფიქსირებული განაკვეთით) ან მათი მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობაზე (სესხი ცვალებადი განაკვეთით). ხელმძღვანელობას არ აქვს ოფიციალური პოლიტიკა განსაზღვროს ჯგუფის რა ოდენობის განფენილობა უნდა იყოს ფიქსირებული ან ცვალებადი განაკვეთით.

ინფორმაციას ფინანსური რისკების მართვასთან დაკავშირებით ჯგუფის მიზნებისა და პოლიტიკის შესაბამისად.

ჯგუფის მენეჯმენტს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება ჯგუფის რისკების მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე.

რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და ჯგუფის საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. რისკების მართვა ხორციელდება მენეჯმენტის მიერ ჯგუფის საოპერაციო ერთეულებთან ერთად.

საოპერაციო რისკი

ჯგუფს გააჩნია საოპერაციო რისკები, რომელიც შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც შიდა ისე გარე ფაქტორებით. ეს შეიძლება გამოხატული იყოს საკანონმდებლო თუ სხვა სახის შეზღუდვებით.

გარემოს დაცვა

ჯგუფში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გარემოს დაცვის საკითხების მოწესრიგებას. გარემოსდაცვითი ღონისძიებების განხორციელებაზე და მის დაგეგმვაზე ზრუნავს შპს „მანგანუმ ლოჯისტიკის“ ძირითადი კონტრაქტორი შპს „ჯორჯიან მანგანუმი“.

27 სექტემბერი 2022

ნოდარი მიქაბერიძე

დირექტორი